

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარეგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ. მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მომზადების მიზეზია წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეკოლოგიური მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია გააუმჯობესოს წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ეკოლოგიური მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ 1997 წლიდან დაიწყო წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან (ძირითადად აჭარიდან და სვანეთიდან) ეკოლოგიური მიგრანტების ჩამოსახლება.

დღეისათვის ჩამოსახლებულია 3000-მდე ოჯახი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ მათთვის შექმნილია დაახლოებით 700 საცხოვრებელი სახლი, რომელთა უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გარეშე(საკარმიდამო მიწა).

აღნიშნულ, მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას წლების განმავლობაში უწყევდა მიწის ქირაობა კერძო მესაკუთრისგან ან სახლმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის უკანონო დამუშევრა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;  
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;  
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);  
კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან;

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში  
კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით კონსულტაციები არ ჩატარებულა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში  
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორია  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი მიხეილ ცქიტიშვილი.